ცნობის ფურცელი

№ 2315 ხუთშაბათი, 6 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2315

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе"**. ტელეფონი № 372.

№ 16. აბონემენტი № 5 ქართული თეატრი ტელეფონი № 716

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ირინეს ბედნიერება

სცენები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა

II

პირველი ბუზი

კომედ. 3 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. ბალანჩივაძე, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა", მოლიერისა. შემდეგი ბენეფისი 11 ნოემბერს იქნება კ. ყიფიანისა.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 6, ნოემ. წარმოდგენა არ იქნება რეპეტ. გამო, პარასკევს, 7 ნოემბერს, 1903 წ., ჯირალდონის მონაწ. წარმოდგენილი იქნება

ბალ-მასკარადი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კალცინა, კარტავინა, კალინინა; ბ-ნნი: ჯირალდონი, რაისკი, ილიუშჩენკო, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი. 8 ნოემბ. გალა-წარმოდგ.—„დუბროვსკი". 9 ნოემბ, ორი წარმოდგენა, დილით—„რუსალკა", საღამოთი—„სევილიელი დალაქი", ფინალი ოპ. „ერნანიდან" და ცეკვა ბალ. „შჩელკუნჩიკიდან". (ნ).

„კვალის" ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

„კვალის" რედაქცია ამით აცხადებს,

რომ საყოველკვირეო გაზეთი „კვალი" ხელახლავ გამოვა ამ წლის 9 ნოებრიდან იმავ პროგრამით, როგორც წინათ.

რადგან დროებით შეჩერების გამო ამ 1903 წ. ჩვეულებრივი რიცხვი №№-სა ვერ გამოდის, ამიტომ იმ ხელის-მოწერთა დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც წლის ბოლომდე გამოსულ ნომრებზე მეტი ერგებათ თავის შემოტანილ ფულში, დაკლებული რიცხვი ნომრებისა 1904 წლის ნომრებით შეუსრულდებათ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, ვთხოვთ დააჩქარონ ფულის შემოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი ნომრის შემდეგ გაზეთის გზავნა მოესპობათ.

ახალ ხელის მომწერთათვის გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება ერთ მანეთად.

რედაქციის ადრესი: რუსის ბაზარი, საეკკლესიო სახლი.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, ред. „Квали".

პარასკევს, 5 დეკემბერს, 1903 წ. „ტფ. კრუჟოკის" დარბაზში გაიმართება

საცეკვაო საღამო

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებით; მონაწილეობას მიიღებენ არტისტები და მუსიკის მოყვარულები. შემოსავალი გადაიდება **ხელმწიფე იმპერატორის** მფარველობის ქვეშ მყოფის **ზემო-ავჭალის სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო კოლონიის** საშუალებათა გასაძლიერებლად.

დარბაზის **დეკორაციები**—ა. ო. ნოვაკისა. **კიოსკები**—ნ. ო. ნოვაკისა და კოლონიის მოწაფეთა. **გამოფენა** მოწაფეთა ნაწარმოებისა.

ანტრაქტებში დაუკრავს კოლონიის მოწაფეთა ორკესტრი. დაწვრილებით იხ. აფიშებში.

შესვლის ფასი (საქველმოქმ. გადასახადით) 2 მ. 10 კ.; პრემიებს მადლობით მიიღებენ. საკონცერტო განყოფილება დაიწყება $8^1/_2$ ს., ცეკვა—$10^1/_2$ საათზე. სამხედრო მუსიკა. გულ-ამოჭრილი კაბა და ფრაკი სავალდებულო არ არის.

საღამოს დიასახლისი **უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა.** გამგე **ა. ს. ფრენკელი.**

ბილეთები იყიდება: კოლონიის საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედ. ქ. № 33), ა. პ. მირონოვიჩთან და მ. დ. მელიქოვთან (სასამართლო პალატა), მ. გ. მუატთან (საოლქო სასამართლო), მომრიგებელ მოსამართლეებთან და ნოტარიუსებთან, ლოტის საკონდიტეროში და „ტფილისის კრუჟოკში". (უ. 4—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

ელისაბედის ქუჩა № 5, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად სახ. მილოვისა, მიიღებს ყურისა, ცხვირისა და ყელით ავადმყოფებს. დილით—9—12 ს. საღ.—5—7 საათ. ღარიბებს უფასოდ. (2—2)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—13)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—9)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

რუსულ გაზ. „ნოვოსტი"-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან:

„იაპონიის ელჩმა ლონდონში სთქვა: შორეულ აღმოსავლეთში ომი არ მოხდებაო. დარწმუნებული ვარ, საქმე მშვიდობიანად, მორიგებით გადასწყდებაო".

დიდი სახელმწიფოები და ოსმალეთი

ოსმალეთი ძლიერ გაკერპდა და ავსტრია-რუსეთის პროგრამის ასრულებას დღესაც არა ჰფიქრობს. ოსმალეთის კერპობა ყველას აკვირვებს. მართლაც და რის იმედი აქვს ოსმალეთს? ყველა დიდმა სახელმწიფომ ერთხმად გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას ავსტრია-რუსეთის პროგრამა უსათუოდ უნდა შეასრულოო. წინად გერმანია ეხმარებოდა ხოლმე, მაგრამ ეხლა ესეც გადაუდგა ოსმალეთს და ავსტრია-რუსეთს დაუჭირა მხარი. გეხსომებათ, რომ გერმანიის მთავრობამ გადაჭრით გამოუცხადა ოსმალეთს, რუსეთ-ავსტრიის პროგრამა უკლებლივ უნდა შეასრულოო. გერმანული გავლენიანი გაზეთებიც ამასვე ურჩევენ ხონთქარსა და იმის მთავრობას. ოფიციოზური გავლენიანი გერმანული გაზ. „კელნიშე ცაიტუნ"-ი ამ საქმის თაობაზე სწერს: „გერმანია ყველაფერში ეთანხმება ავსტრიასა და რუსეთს და ბეჯითად ურჩევს ოსმალეთს ამ სახელმწიფოებს დაუთმოს, თორემ ვაი თუ უარსა და კერპობას ცუდი შედეგი მოჰყვესო. გერმანია წინადაც ამას ურჩევდა და უხსნიდა ოსმალეთს, რომ ავსტრია-რუსეთის პროგრამის ასრულება თითონ ოსმალეთისთვისაც სასარგებლო იქნებაო. გერმანია ეხლაც ამავე თვალით უყურებს საქმეს და ამასვე ურჩევს ოსმალეთს".

დეპეშებიდან გეცოდინებათ, რომ ინგლისის პირველმა მინისტრმა ბალფურმაც ასეთივე რჩევა მისცა ოსმალეთს. ბალფურმა ისიცა სთქვა: ავსტრია-რუსეთის პროგრამა მეტად მცირე პროგრამაა, „მინიმუმუია" იმისა, რაც მაკედონიისათვის საჭიროაო. ოსმალეთმა უსათუოდ უნდა აასრულოს ეს პროგრამაო. ბალფურის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თურმე ხონთქარსა და იმის მთავრობაზე. ინგლისის პირველი მინისტრი თითქო დაემუქრა ოსმალეთს, გირჩევნიათ, ეგ პროგრამა აასრულოთ, თორემ თუ საქმეში ინგლისი გაერია, უფრო მეტსაც მოითხოვს და იქნება მაკედონია სულაც ჩამოართვას ოსმალეთსაო. გერმანიის კანცლერ ბიულოვსაც განუცხადებია ოსმალეთის ელჩისათვის, ეშურენით, რუსეთ-ავსტრიის პროგრამას დასთანხმდით, თორემ ინგლისი მაკედონიისათვის ავტონომიას მოითხოვს და იქნება გაიტანოს კიდეც თავისი, რადგან საფრანგეთსა ❀ იტალიასაც ინგლისის პირი უჭირავთო. უცხოეთის გაზეთებს იმედი აქვთ, ოსმალეთი ეხლა კი ხელს აიღებს თავის კერპობაზე და ავსტრია-რუსეთის პროგრამას აასრულებსო.

მინისტრ როზანოს თავის მოკვლა

გაზეთები ეხლა უფრო დაწვრილებით მოგვითხრობენ ამ ამბავს.

რადიკალები და სოციალისტები უმთავრესად შემდეგ ბრალსა სდებდნენ როზანოს. როცა კაზინოს პროვინციის მმართველად იყო, როზანო მეტად თავნებად იქცეოდა, დიდ ბოროტ-მოქმედებას სჩადიოდა არჩევნების დროს და არაფერ ღონისძიებას არ ერიდებოდა, ოღონდ რადიკალებისათვის კი ხელი შეეშალა. ამას გარდა როზანოს აბრალებდნენ, პოლიცილოს ვექილობა იკისრა და მეტად ბეჯითად ამტკიცებდა, პოლიცოლო რადიკალებისა და სოციალისტების პოლიტიკურ სიძულილის მსხვერპლიაო. ამტკიცებდნენ აგრეთვე, როზანო ქრთამებს იღებდაო. სოციალისტმა დეპუტატმა ბერგამსკიმ დასწერა გაზ. „ავანტი"-ში, როზანომ 5 ათასი ლირა ქრთამი გამომართვა და ციხიდან გამანთავისუფლაო. ჯიოლიტიმ ურჩია როზანოს, დროებით სამსახურიდან გადადექ, გაზ. „ავანტი"-ს სასამართლოში უჩივლე და თავი იმართლეო. ამ საუბრის შემდეგ როზანო შაბათ დღეს ნეაპოლში წავიდა, იმედი ჰქონდა ბერგამსკის როგორმე გავაჩუმებო. სწორედ მეორე დღეს გაზ. „რომა"-ს კვირის ნომერში ბერგამსკიმ წერილი დაბეჭდა და გამოაცხადა, როზანო თითონ იყო ჩემთან ციხეშიო და ქრთამის თაობაზე მელაპარაკაო. როზანოს სიძე მარკიზ ფერდინანდ ფერიც მონაწილეობას იღებდა ამ საქმეშიო. როზანომ ამნაირი წერილიც მომწერა ციხეშიო: „თქვენ სახლობას შევატყობინე, რომ თქვენ დაცვას ვკისრულობ, ფული წინდაწინ ვთხოვე, მაგრამ ფულის მოცემაზე უარი მითხრეს. ეხლა თქვენ იცით." როზანომ ბოლოს ფული მიიღო, შინაგან საქმეთა მინისტრს, საიდუმლო პოლიციის უფროსსა და ნეაპოლის პრეფექტს მოელაპარაკა და ციხიდან გამანთავისუფლა. წინად-კი ნეაპოლის პოლიცია ამტკიცებდა, ბერგამსკი მეტად საშიში ანარხისტიაო. ბერგამსკის წერილში ერთი ასეთი საინტერესო ამბავიც ეწერა: როზანოსთან ერთმა უბრალო ტუსაღმა მიმასწავლაო. ამ ტუსაღსაც როზანოს შემწეობით სასჯელი 6 თვით შეუმცირესო.

როზანომ ეს წერილი კვირა დღეს წაიკითხა და ორშაბათ დილით 6 საათზე თავი მოიკლა. განსვენებულის მეგობრები ირწმუნებიან, სოციალისტების გაკიცხვის გარდა, როზანოს თავისმა ვაჟი-შვილებმაც საქმე გაუჭირეს. დიდ ფულსა ჰფლანგავდნენ და ბევრ ვალს იღებდნენო. როზანო ვეღარ აუვიდა იმათ ვალების ხდასა და ბოლოს გაჯავრებული გამოაცხადა, ჩემის შვილების ვალებს აღარ გადავიხდიო. ამიტომ როზანომ უკანასკნელ წერილში თავისი ვაჟი-შვილებიც მოიხსენია.

განსვენებულს პირველ მინისტრ ჯიოლიტისათვისაც მიუწერია ორი წერილი. ერთ წერილში როზანო სთხოვს პირველ მინისტრს: ჩემ მაგიერ მეფესა სთხოვეთ, ფინანსთა მინისტრის თანამდებობიდან გადამაყენოსო. მეორე წერილში განსვენებული სწერს: მტრებთან ბრძოლა აღარ შემიძლიან; თუმცა ყველაფერში მართალი ვარ, მაგრამ ბრძოლის თავი და გული აღარა მაქვსო. დასასრულ განსვენებული დიდ სიყვარულს უცხადებს და დიდ მადლობას უხდის ჯიოლიტის.

იტალიური გაზეთები მეტად ბევრსა სწერენ ამ ამბავზე. „ტრიბუნა" ძლიერა ჰკიცხავს რადიკალებსა და სოციალისტებს. გაზეთი ირწმუნება, საკიმა და ენრიკო ფერიმ დიდი ხანია, რაც ბერგამსკის საქმე იციან, მაგრამ გაჩუმებულნი იყვნენ, სანამ ეს გაჩუმება ამათთვის სასარგებლო იყო, ეხლა-კი დიდის გულის წყრომით გამოაცხადეს ეს ამბავი, ასე რომ იმათი გულის წყრომა ფარისევლურიაო. სოციალისტური გაზ. „ავანტი" სწერს: იტალიის ხალხის გულში სინიდისმა გაიღვიძა. ჯიოლიტიმ ისევ ძველის წესების აღდგენა და ძველის სახელმწიფო კაცების დაბრუნება მოინდომა, მაგრამ ძლიერ მოსტყუვდა, დაავიწყდა, რომ ეხლა სულ სხვა ხალხთან ექმნება საქმე. ჯიოლიტიმ მთელი ჩვენი ხალხი ააღელვა და ამ აღელვებასა და ამ გულის წყრომას შედეგად უბედურ როზანოს სიკვდილი მოჰყვა.

დეპუტატი ბისოლატი სწერს გაზ. „ავანტი"-ში: ჯიოლიტი წინადვე გავაფრთხილე და ვურჩიე, როზანოს მინისტრად ნუ მიიწვევთო, მაგრამ ჯიოლიტიმ არ გამიგონაო.

როზანოს მომხრე გაზ. „მატინო" სწერს: როზანო სოციალისტებმა მოჰკლესო. ამ კაცის მკვლელებისაგან თავის დახსნა მარტო რევოლვერით შეიძლებაო.—უნდა იცოდეთ, რომ ადრე გამოძიებამ დაამტკიცა, გაზ. „მატინო"-ს ნეაპოლის საქალაქო თვით-მმართ-

ველობის იჯარადრებისაგან რამდენიმე ასი ათასი ლირა აელო ქრთამადაო.

როზანოს სიკვდილის შემდეგ დეპუტატ ბერგამსკის ეთქვა „ტრიბუნა“-ს თანამშრომლისათვის: „რაც როზანოს ბრალი დავდე, ყველაფერი მართალია, მაგრამ რომ მცოდნოდა, თუ ასეთი უბედურება დატრიალდებოდა, ჩემს წერილს საჯაროდ არ გამოვაცხადებდი, თითონ როზანოს ვნახავდი და როგორმე დავარწმუნებდი, რომ მინისტრობიდან გადამდგარიყო.“

ტისას სამინისტრო და ოპოზიცია ჰუნგრეთში

პარლამენტის სხდომის დროს პირველი მინისტრი ტისა დაჰპირდა ოპოზიციას: საარჩევნო ოლქებს ხელ-ახლად უფრო სწორედა და სამართლიანად გავანაწილებთ და საარჩევნო ცენზსაც შევამცირებთო.

ამავე სხდომის დროს ტისამ გამოაცხადა: ჰუნგრეთისა და ავსტრიის ჯარებს საერთო ღერბი ექნებათო. მთელი პარლამენტი გაჩუმდა და სულ-განაბული ისმენდა პირველ მინისტრის სიტყვას. ტისამ დაუყვირა კოშუტის მიმდევრებს: „ვიცი, რომ თქვენ ავსტრიასთან დაახლოვება გასაგონად გეჯავრებათ. ბრძოლაზე ხელის აღებას არავისაც არ ვურჩევ, მე მხოლოდ ის მინდა, რომ ამ ბრძოლით კონსტიტუციის ძვირფას წესებს ზარალი არ ეძლეოდეს. თქვენ ამბობთ: დაე ხალხმა გაარჩიოს, ჩვენში ვინ უფრო სწორე გზას ადგასო; მე კი ვფიქრობ, რომ ხალხი დაგიყვირებთ: კმარა ეს უსარგებლო ბრძოლა! ეს ბრძოლა დიდ ზარალს აძლევს ჩვენის ხალხის ინტერესებს! ეხლა თავდაპირველად ჩვენი იარები უნდა მოვირჩინოთ და ჩვენი გატეხილი სახელი აღვადგინოთ. თუ ჩვენი ერი ჩემსას დაიჯერებს, სწორედ ბედნიერი კაცი ვიქნები, მეცოდინება, რომ ჩემს ერს სამსახური გავუწიე და სარგებლობა მოვუტანე. თუ არ გაიგონებს ჩემსას, მეც გულდამშვიდებული ამაყად გადავდგები სამსახურიდან. მეცოდინება, რომ გაჭირვების დროს ჩემი ძალა და ღონე არ დავიშურე და ჩემის მოვალეობის ასრულებას ვეცადე:“

მარჯვენა პარტიამ ძლიერი ტაშის ცემით დააჯილდოვა პირველ-მინისტრის სიტყვა.

ბუდაპეშტიდან სწერენ „ბერლინერ ტაგებლატ“-ს: თუ ოპოზიცია ისევ ობსტრუქციას გაჰმართავს, გრაფ ტისა პარლამენტის სხდომებს დროებით შეაჩერებსო. პარლამენტის დათხოვნას კი ჯერ არა ჰფიქრობს, რადგან პროვინციაში ხალხი დღესაც ოპოზიციას ემხრობა.

* * *

ახალი ამბავი

◆ 4 ნოემბერს ტფილისიდან მოსკოვს წავიდა ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა წინამძღოლი** თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. თ. მელიქიშვილი მოსკოვში დაჰყოფს ორს კვირამდე და დაესწრება მოსკოვში რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრებას.

◆ როგორც პეტერბურგის გაზეთები გადმოგვცემენ, **შავი-ქვის მრეწველობის საჭიროებებზე** მოსალაპარაკებლად ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ვ. ი. ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია.

◆ ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ მაზრების პოლიცია ეხლავე, მოსავლის მოკრეფის გათავებისათანავე, გულმოდგინედ შეუდგეს **სოფლად სხვა-და-სხვა გადასახადების შეკრებას,** რადგან მერე გამწვავდება გადასახადის გამორთმევაო.

◆ ტფილისელმა მკერავმა-ქალებმა **საჩივარი გადასცეს გუბერნატორს.** აცხადებენ, რომ უსტაბაშის არჩევანი უკანონოდ მოხდაო.

◆ როგორც გაზეთ „კავკაზ“-ის ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, ტფილისის მე-9 ნაწილის ბოქაული მანდრიკინი დაინიშნა **პოლიცმეისტრის თანაშემწედ.**

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განხილვა **მეღვინეობა-მევენახეობის** კომიტეტის მიერ გამოგზავნილ მოხსენებისა, 3 ნოემბერს დაამთავრა მუშაობა. კომისია თავის მოხსენებას ამ დღეებში წარუდგენს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს.

◆ ტფილისის ქალაქის ადგილებზე **სახელმწიფო გადასახადის** დარჩენილი ფული ყოფილა 1612 მან. ტფილისის მაზრის უფროსმა მისწერა გამგეობას 7 დღის განმავლობაში წარადგინოს ეს ფული ხაზინაში. გუშინ ქალაქის გამგეობამ აცნობა მაზრის უფროსს, გამგეობამ აქამდე არ იცოდა, რა ადგილებზე იყო დარჩენილი ეს გადასახადი და ამის გამო ვერ შეიტანა ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, ამიტომ ეს ფული მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იქმნება შეტანილიო.

◆ ტფილისის გუბერნიის **ქალაქის საქმეთა საკრებულომ** უკანასკნელ სხდომაზედ, სხვათა შორის, განიხილა ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილი დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ამა წლისა. საკრებულომ უმთავრესი ყურადღება მიაქცია იმ წყაროს, საიდანაც გამგეობას ჰსურს დაჰფაროს დამატებითი ხარჯი. გამგეობის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ხარჯი უნდა გასტუმრებულ იქნეს დასაფასებელ გარდასახადიდანაო. ქალაქის მოურავის მოხსენებით, დასაფასებელი გარდასახადი წელს მეტი შემოდის. მაგალითად, ოქტომბრამდე შემოსულა 370,000 მან., ე. ი. 38,000 მან. მეტი, ვიდრე შარშან. მიუხედავად ამისა საკრებულომ ის აზრი გამოსთქვა, რომ თვითმმართველობას ნება არა აქვს დამატებით ხარჯებისთვის ის ფული მოიხმაროს, რაც წლიურად ნავარაუდევზე მეტი შემოდის, რადგან ეს შემოსავალი უნდა გადაიდოს სათადარიგო თანხის შესადგენადაო. საკრებულომ შესაძლებლად სცნო იმ დამატებით ხარჯების გასტუმრება, რომელიც მეტად საჭიროა. ამისდაგვარად საკრებულომ გამოაკლო ზოგიერთი მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა, დანარჩენზე დაადგინა შეტანილ იქმნას მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. დამატებით ხარჯთ-აღრიცხვიდან უნდა გამოირიცხოს 1793 მან., რომელიც ვერაზე საქალაქო დუქნის გასაკეთებლად იყო გადადებული, და სხვა. ხარჯთ-აღრიცხვა საკრებულომ შეამცირა 13,800 მანეთამდე.

◆ ტფილისის **ქალაქის გამგეობა** დღევანდელ სხდომაზედ განიხილავს მოხსენებას ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა შტატის გადათვალიერებისა და გამგეობისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის შედგენის საჭიროების შესახებ.

◆ შესდგა გერმანელთა სააქციო-საზოგადოება ლენქორანის მაზრაში **ხე-ტყის დასამუშავებლად.** ეხლახან ამ საზოგადოებამ ავსტრიიდან 600 მუშა დაიბარა ტყის საჭრელად, შპალებისა და სხვა საქონლის დასამზადებლად. იქ, სადაც ხე-ტყის დამუშავებას შეუდგებიან, ჰფიქრობენ ვიწრო-ლიანდაგიან რკინის გზის გაყვანას.

◆ როგორც „კავკაზ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, **ვ. ველიჩკოს** თავი გაუნებებია ჟურნალ „რუსკოე ვესტნიკ“-ის რედაქტორობისათვის.

◆ ავლაბარში მცხოვრებმა მეპურემ ანტონ ისაკაძემ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, ნება მიეცეს თავის მუშების ხელით პურის მყიდველებს შინ მიუტანოს პური და აგრეთვე ქალაქის თავისუფალ ადგილზედაც ჰყიდოს. ისაკაძე აცხადებს თხოვნაში, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტები მიშლიან თავისუფლად პურის გაყიდვას ავლაბრის მოედანზეო.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელისმომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** მე-165 № შემდეგის შინაარსისა: „კედელი“ მოთხრობა ლ. ანდრეევისა, თარგმ. ი. პ—სა; სურათები: „მომზენი“; „ამბავი, მომხდარი შრომის ბირჟაზე პარიზში“; „ოსმალნი იცავენ რკინის გზას მაკედონიაში და ორი კარიკატურა.

შინ და გარედ

30.

ამას წინად ბოდიში მოვიხადე და ისე დავწამე ვერაგობა ტფ. საბჭოს ხმოსანთა იმ ნაწილს, რომელმაც, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული წრე შეადგინა. დღეს-კი იგივე უნდა დავწამო უბოდიშოთ.

მკითხველს ახსოვს, ალბათ, როგორ იყო საქმე. წრემ თავდაპირველადვე, ხმის უმეტესობით, თავის კანდიდატად გამგეობის წევრობაზე სტ. ჰრელაშვილი დაასახელა. შემდეგ, როდესაც ყველა ხმოსნების კერძო კრება გაიმართა, წრის დიდმა უმეტესობამ არა-თუ მხარი არ მისცა არჩეულს კანდიდატს, არამედ თავის წრის მეორე წევრი, წინად დაწუნებული, ლ. ტიგრანოვი გამოიყვანა და, ხმის უმეტესობით, კერძო კრებას ის აარჩევია კანდიდატად.

ეს ამბავი ისეთ აშკარა ვერაგობად მეჩვენა მაშინ, რომ, ცოტა არ იყოს, ეჭვი დამებადა: იქნება „ნედორაზუმენიე“ მოხდა რამე და წრე საბჭოს კრებაზე ეცდება-თქო საქმის გამობრუნებას. მაგრამ, იმედი გამიცრუვდა და ღალატი ღალატად დარჩა....

საბჭოს კრებაზე, ორშაბათს, სამი უმთავრესი ჯგუფი მოქმედებდა: პირველი—ეგრედ წოდებული „დვორც. ნომრების“ პარტია, მეორე—ექიმ ხატისოვის წრე („ახალგაზდების“ პარტია) და მესამეც—ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის წრე. გამგეობის წევრობაზე ორი უმთავრესი კანდიდატი იქმნა წამოყენებული: ლ. ტიგრანოვი და სტ. ჰრელაშვილი. „დვორცოვი ნომრებმა“ მხარი მისცეს ლ. ტიგრანოვს. ცოტა არ იყოს ეს გასაკვირველი ფაქტია: ლ. ტიგრანოვი—ცხარე ოპოზიციონისტი საბჭოშიაც და საკრედიტო საზოგადოებაშიაც, სადაც მან სძლია ერთ დროს დიდ ბობოლას ნაპოლეონ ამატუნს,—გასაგონად ეჯავრებოდა სოლოლაკის ბობოლებს; დღეს-კი ეს ლ. ტიგრანოვი მათი კანდიდატია. ასეა, tempora mutantur, თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, ვითომც ბობოლებს სხვა, დაფარული, განზრახვა ჰქონდათ—უნდოდათ თავიდან მოეშორებინათ ბ. ტიგრანოვი და ქალაქისთვის მიეჩეჩებინათ. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ამ პარტიამ ორშაბათს მხარი მისცა ტიგრანოვს. მაგრამ, მარტო ესენი ვერას გახდებოდნენ, რომ არღუთინ-

ფელეტონი

ახალი დრამის ისტორიიდან

ლანგმანის პიესები

(შემდეგი [*])

თუ წინანდელ პიესაში ერთი საშინელი დრამა ხდება საკუთრების ნიადაგზე, ცოცხლად მარხავენ შვილები დედას, ლანგმანის მეორე პიესაში, „კაპრალ შტერში“, ჩვენ ვხედავთ საერთო უბედურებას, საკუთრებისაგან წარმომდგარს. აქ მთელი ცხოვრება მოწამლულია, მამაშვილური კავშირი გაწყვეტილია, სიყვარულს მალე ივიწყებენ, ძმა—ძმას ღალატობს, მეგობარი—მეგობარს. ყველანი შესჩვევიან ასეთს ცხოვრებას, არავინ ხმას არ იღებს მის წინააღმდეგ, არც ძალუძს ხმა ამოიღოს. თუ ვისმე ნათლად წარმოუდგება თვალწინ ცხოვრების საზიზღრობა, მალე ჩაახრჩობს მწარე ფიქრებს სამიკიტნოში. მკრთალი შეგნება არის, მაგრამ მას იმდენი ძალა არ მოეპოვება, რომ საბრძოლველად გამოვიდეს.

მოქმედება სწარმოებს გლეხის ქვრივის შტერის ოჯახში, სოფლად, მინის ქარხნის ახლოს. ფარდის ახდისათანავე გავიგებთ, რომ ფრანცი ცოლად შერთვას დაჰპირებია შტერის ქალს ანნას, შეუცდენია და ახლა კი გან-განზე დადის, რადგან ანნას იმდენი შეძლება არა აქვს, თვითონ ფრანცს დიდი შემოსავალი არა აქვს და მდიდარი ქალი უნდა შეირთოს. შტერის უფროსი შვილი, ლუკა, მეგობარი ფრანცისა, სალდათად წაიყვანეს და ოთხი წელიწადია სახლში არ ყოფილა. მეორე ვაჟი, ანტონი, ქარხანაში მუშაობს და რასაც ფულს შოულობს, გარყვნილებაში ხარჯავს, თავის ძმის საცოლო ტერეზა შეაცდინა და საყვარლად გაიხადა. თვითონ შტერიც მხოლოდ რამდენიმე თვეა დაქვრივდა და, თუმცა მოხუცებულია, მაგრამ მეორეთ გათხოვებას აპირობს, უკვე ამოირჩია საქმროდ ბაუსბარტი და ამ დღეებში უნდა დაიწეროს ჯვარი.

მამა რომ ცოცხალი იყო, მაშინ სხვა იყო, ყველა ხელში ჰყავდა ჩაჭერილი, მაგრამ ეხლა არავისი შიში არა აქვთ ოჯახში, არავისი... მხოლოდ რაღაც უნებური შიში შეიპყრობს ყველას, როდესაც თვალწინ წარმოუდგებათ ლუკას სახე. ყველაზე უფრო ეშინია უფროსის ძმისა ანნას. „ეხლა რომ ლუკას სამსახური გაუთავდეს და დაბრუნდეს სახლში, გაიგოს რაც ამბავია აქ, დაგვხოცავს ყველასო“, ამბობს. უბედურება ის არის კიდევ, რომ ლუკასთვის არაფერი არ მიუწერიათ, არ მიუწერიათ მამის სიკვდილიც; ვერ ბედავდნენ. „ყველაზე უფრო შენ მაღონებ, ეუბნება დედა ანნას: სად უნდა გამოჩნდე შენის ბავშვით?“ ანნა ამბობს, წყალში გადავარდებიო და უსაყვედურებს ანტონს: შენ ძმა ხარ ჩემი და უნდა მოგეთხოვა ფრანცისაგან ჩემი შერთვაო: ლუკა რომ სახლში ყოფილიყო, ასე მოხდებოდაო.—„თავი დამანებეთ თქვენი ლუკათი! გულმოსული ლაპარაკობს ანტონი: ლუკა არ იყო, რომ გააგდო მამამ სახლიდან ჭირვეულობისა და თვითნებობისათვის? ის რომ აქ ყოფილიყო, მთელს ოჯახს და სუყველას გაგვრეკდნენ ქარხნიდან. ლუკა გვიშველიდაო. რა სისულელეა! ის არ იყო, რომ მუდამ ჩხუბი ჰქონდა მამასთან? იმას კიდეც გაუხარდებოდა, რომ მამა მოუკვდა. ვინ იცის, რომ მიგვეწერა, მოვიდოდა გასვენებაზე?“...

ასეთ ოჯახისა და ამბებისაკენ მიეშურება ლუკა. მას სოფელში „წითელს“ და სარწმუნოების უარმყოფელს ეძახდნენ. სალდათობამ ვერ „მოარჯულა“ იგი, როგორც ერთი სოფლელი ამბობს. კიდევ უფრო განვითარდა და მეტი ცოდნა შეიძინა. სამხედრო სამსახურში ძალიან დაწინაურდა, ეხვეწებოდნენ დარჩენას, მაგრამ ყაზარმის ცხოვრება სულს უხუთავდა თავისუფლების მოყვარულს ლუკას და, როგორც კი ვადა გაუთავდი, გამოეშურა შინისაკენ; სახლში ეგულება საყვარელი დედ-მამა, პატიოსანი და-ძმა, ერთგული საცოლო; სოფელში უნდა მუშაობა, გლეხებისთვის დახმარება, საწარმოებელ ამხანაგობის დაარსება მათთვის. გატაცებულია ძლიერის სურვილით, ნათელი შეიტანოს სოფელში და უკეთესად მოაწყოს დაჩაგრულ მოძმეთა ცხოვრება.

მის დაბრუნებას წინდაწინვე გაიგებენ სახლში და როდესაც კარებზე დააკუნებს, ყველანი გარედ გადიან და იმალებიან, გარდა ერთის ლუიზასი, ცხრამეტი წლის ქალისა, რომელიც მათს სახლში გაიზარდა.

შემოდის ლუკა, გაკვირვებულია, რომ არავინ ხვდება სახლში. მაგრამ აღტაცებულია შინ დაბრუნებით და ამას იმდენ ყურადღებას არ აქცევს, სიცილით იგონებს წარსულ დღეებს, მოუყვება ლუიზას თავის სალდათურ ცხოვრებას, აჩვენებს საჩუქრებს, რომლებიც მოუტანა თავის ტერეზას და ანტონს. ამასობაში დედაც გაჰბედავს შემოსვლას და გაცხარებით მოუყვება შვილს სხვა-და-სხვა ამბებს, რომ გაართოს და თავიდან აიცილოს ჯერ-ჯერობით მაინც სამწუხარო ამბების გამჟღავნება. მაგრამ მისდა უნებურად ლუკა გაიგებს, რომ მამა მოჰკვდომია. ლუკა ძლივს ითქვამს სულს. როგორც არის, გამოჰკითხავს დედას, როდის გადაიცვალა და სიკვდილის წინ მიგონებდა, თუ არაო. ამის შემდეგ დედას შემოჰყავს ბაუსბარტი და წარუდგენს შვილს, როგორც მომავალს მამას. ლუკას არ სჯერა განაგონი. „როგორ?“, ეკითხება დედას და როდესაც ბაუსბარტი ამბობს: ერთის კვირის შემდეგ გვექნება ქორწილიო, გამწარებული ლუკა უცებ ჩააჩუმებს და კარებზე მიუთითებს ხელს: შორს ჩქარა აქედან! გესმის, გარედ გადიო!

თვალ-ცრემლიანი ლუკა მამის სურათს ათვალიერებს და უსაყვედურებს დედას, რომ ასე მალე დაივიწყა ისეთი პატიოსანი, ერთგული და მშრომელი ადამიანი.

მაგრამ დედას ახალი ამბები არ გაუთავებია. შეატყობინებს ლუკას ანნას ამბავსაც, რომელიც მიატოვა ფრანცმა მზითევის სიცოტავისა გამო. ლუკა დაუყოვნებლივ ჩაიცვამს ტანზე და მიდის ფრანცთან მოსალაპარაკებლად, მზად არის, დაუთმოს თავის წილი სახლი, ეცდება ანტონსაც დაათმობინოს და ჯვარს დააწერინებს აუცილებლივ ანნაზე.

ქარიშხალი დაიწყო, რომელსაც უნდა შეებრძოლოს ლუკა. ეს ქარიშხალი წინ ჰხვდება ყველას, ვინც ებრძვის არსებულ უვარგის პირობებს და უნდა ცხოვრება ჩააყენოს უკეთეს გარემოებაში...

მეორე მოქმედება სოფლის ტრაქტირშია, სადაც იკრიბებიან შეძლებული მუშები. ლუკა და მოხუცი მუშა მაცი ცალკე სხედან და საუბრობენ. უკანასკნელი ურჩევს ლუკას: მოშორდი ამ სოფელს, სახლს, წადი, შენ აქ ვერაფერს გააკეთებ, ტყუილად დაიღუპებიო. ლუკა არწმუნებს, ადამიანების გასწორება შეიძლება, ხშირად ძალ-დატანებითაც-კი, და თავის აზრის დასამტკიცებლად მოელაპარაკება ფრანცს, რომელიც ამ დროს

---

[*] იხ. „ცნ. ფურც. № 2308.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკი-დოლგორუკოვის წრეს არ დაეთრგუნა თვისივე გარდაწყვეტილება და ჰრელაშვილს არ გადადგომოდა: ამ წრის დიდი უმეტესობა ბ. ტიგრანოვს მიემხრო და ამრიგად შესდგა უმრავლესობა, რომელმაც გადასწყვიტა არჩევანის სვე-ბედი. ჰრელაშვილს-კი მხარი მისცეს ხატისოვის ჯგუფის წარმომადგენლებმა და ქართველ-ხმოსნებმა.

როგორც ჰხედავთ, არჩევნების საქმის გადამწყვეტი, ორშაბათს, ის 24 ხმოსანი იყო, რომელთაც, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული წრე შეადგინეს. რომ ყველა ამათ მტკიცედ დაეცვათ პირვანდელი თავისი დადგენილება და თავიანთ წრიდან მეორე კანდიდატიც არ წამოეყენებინათ, არჩევანი ბ. ჰრელაშვილის სასარგებლოდ გათავდებოდა.

მე იმიტომ ვთვლიდი საჭიროდ—აღმენიშნა ეს ვერაგობა, რომ საკითხს პრინციპიალური მხარე აქვს. პირადად არც ბ. ჰრელაშვილის, არც ტიგრანოვის შესახებ არას ვამბობ—სულერთია, ვინც უნდა იყოს ამათგან გამგეობის წევრად,—მაგრამ სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ შეთანხმებულმა ხმოსნებმა თავშივე ვერ დაიცვეს სოლიდარობა და დისციპლინა; სამწუხაროდ მიმაჩნია იმიტომ, რომ წრეს კარგი სამოქმედო პროგრამა შეუდგენია და სწორედ ამ პროგრამის ასასრულებლად საჭიროა მეტი სიმტკიცე, მეტი სოლიდარობა და დისციპლინა. ხოლო, თუ თავშივე ასე ფუქსავატად მოექცნენ თავისავე გადაწყვეტილებას და რიგიანად ვერ შეთანხმდნენ, ძალა-უნებურად უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგშიაც ვერ გამოიჩენენ საქმიანობასა და საჭირო ერთსულოვნებას.

გან

რუსეთის ქრონიკა

✦ რკინის გზათა მოძრაობის ნაწილის ინჟენერთაგან შემდგარმა კომისიამ მატარებლების მოძრაობის უზრუნველ საყოფელად საჭიროდ სცნო გააუმჯობესონ ნივთიერი მდგომარეობა მეისრეთა, მისცენ იმათ სადგომები, მოუმატონ ჯამაგირები და შეუმცირონ სამუშაო საათები.

✦ „დონსკია ობლ. ვედ.“-ში დაბეჭდილია ეპისკოპოსის განკარგულება, რომ სამღვდელოება ბეჯითად ჰქადაგებს ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულს ყველა მოყვასისადმი, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა. მტრული მოძრაობა ებრაელებისა, თუ სხვა ერის წინააღმდეგ არღვევს საზოგადო მშიდობიანობას და წესიერებას, აფერხებს და ასუსტებს მრეწველობას, ვაჭრობას და ყოველგვარ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათა მიმდინარეობასო.

✦ ამ დღეებში ვარშავის მომრიგებელ მოსამართლეს ერთი საინტერესო საქმე გაუნხილავს. პრივისლიანსკის რკინის გზაზე მეორე კლასის ვაგონით მინავალა ნაფიცი ვექილი კერსკი ცოლითა და ქალიშვილით. რადგან ვაგონში მგზავრთა სიმრავლის გამო ჯდომა შეუძლებელი ყოფილა, კერსკი თავისის ცოლითა და ქალიშვილით იძულებული ყოფილა მთელი გზა ფეხზე მდგარიყო, რისთვისაც შეუდგენინებია ოქმი და რკინის გზისათვის უჩივლია 48 კაპეიკი—ის ზედ-მეტი ფული, რასაც მეოთხე კლასის ვაგონთან შედარებით მეორე კლასის ვაგონის ბილეთში იღებენ. მეოთხე კლასში მგზავრები ფეხზე მდგომნი მოგზაურობენ. სასამართლოს საჩივარი შეუწყნარებია და რკინის გზისთვის კერსკის სასარგებლოდ გადაუწყვეტია 48 კაპეიკი და სასამართლოს ხარჯები—5 მან.

✦ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, ბაქოში ამ ზაფხულს მომხდარ მუშათა დიდ მოძრაობას ნავთის წარმოებისათვის ისეთი შედეგი არ მოჰყოლია, რომ ნავთის წარმოება დიდის ხნობით შეეფერხებინოს.

✦ „რუსკი ინვალიდ“-ს დიდ სახელმწიფოთა ფლოტის შესახებ შემდეგი ცნობები შეუკრებია: 1904 წლის 1 იანვრიდან: ინგლისს ეყოლება 40 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 35 ჯავშნიანი კრეისერი; საფრანგეთს—13 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 13 ჯავშნიანი კრეისერე; რუსეთს—15 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 7 ჯავშნიანი კრეისერი; გერმანიას—14 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 4 ჯავშნიანი კრეისერი; იტალიას—4 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 5 ჯავშნ. კრეისერი; ავსტრო-ჰუნგრეთს—5 საესკადრო ჯავშნ. გემი და 4 ჯავშნ. კრეისერი; ამერიკის შეერთებულ შტატებს—10 საესკადრო ჯავშნ. გემი და 2 ჯავშნ. კრეისერი; იაპონიას—6 საესკადრო ჯავშნ. გემი და 6 ჯავშნიანი კრეისერი.

✦ ურალსკის სამხედრო გუბერნატორს გამოუცია სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც აკრძალულია ურალსკსა და ურალსკის ოლქის მაზრებში ყოველ გვარ იარაღის ტარება, მაგ: რევოლვერისა, თოფისა, ხანჯლისა და სხ. დადგენილების დამრღვეველნი იარაღის ჩამორთმევის გარდა პესუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

✦ „ოდესკია ნოვოსტ“-ში ერთი საზარელი ამბავია დაბეჭდილი. ოდესაში მცხოვრებს მარია ტელემჩუკოვისას დილას ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ პლიტაში ცეცხლი გაუჩაღებია და თავისი პაწია, ერთის წლის ბავშვი პლიტის კიდეზე დაუსვამს. შემდეგ თვითონ დუქანში წასულა, ბავშვი კი პლიტაზე დაუტოვებია. 10 წუთის შემდეგ მარიამი დაბრუნდა სახლში. სამზარეულოში შესვლამდი საშინელი ბოლი და სუნი ეცა ქალს. შევიდა სამზარეულოში და საზარელი სურათი დაუხვდა დედას: შვილი პლიტაზე იწოდა. დედა ყვირილით გამოვარდა გარედ, მაგრამ გული წაუვიდა და დავარდა. მხოლოდ რამდენისამე წუთის შემდეგ შეამჩნიეს მეზობლებმა სამზარეულოდან გამოვარდნილი საშინელი ბოლი. მისცვივდნენ ამბის გასაგებად. სამზარეულოში შესვლამდის კარებში დაინახეს გულწასული ქალი და დაუწყეს მოსულიერება. როდესაც შესულან სამზარეულოში, დაუნახავთ უბედური ბავშვი მთლად დამწვარი.

პატარა ფელეტონი

„კაცია ადამიანი?!“

ჯან-ფოლადოვი მეტად მდიდარი კაცია—მისი მარილის ქარხანაა, რომ მთელ კავკასიას მარილს აწვდის. ამ ჯან-ფოლადოვს ჰყოლია სიძე უმაღლეს სწავლა-დამთავრებული, ინჟენერ ტეხნოლოგი ვაგარშაკ ხოიცევი. ერთ დღეს ქარხნის კანტორიდან დაკარგულა ორმოცდა-ხუთი თუმანი. რა უნდა იყოს ეს ორმოცდა-ხუთი თუმანი ჯან-ფოლადოვისა და ინჟენერ-ტეხნოლოგის ვაგარშაკ ხოიცევისათვის? თითქმის არაფერი! მათი სქელი ჯიბე ვერც-კი შეატყობს ასეთ პატარა თანხის მოკლებას. მაგრამ ყაირათი თხოულობს, რომ ერთი გროშიც არ დაიკარგოს ფუჭად, ტყვილა-უბრალოდ და ამიტომ ხსენებულ ინჟენერ-ტეხნოლოგს ნება ჰქონდა დაკარგულ ფულის საქმე გამოეძია. მაგრამ გამოძიებაც არის და გამოძიებაც!

ვაგარშაკ ხოიცევის „გამოძიება“ რაღაც წარმოუდგენელი საშინელებაა, ადამიანის სულის შემზარავი, ადამიანობისადმი ნდობის და სასოების მომსპობი და წარმკვეთი!

წაიკითხეთ ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული „ინჟენერ ხოიცევის საქმე“ და ნუ იკითხავთ—კაცია ადამიანი?!

გასუქებული, სიბრალულსა და სხვის გაჭირვებულ მდგომარეობის გაგებას მოკლებული ბურჟუა სიამტკბილობითა და სათნოებით არასოდეს არ მოეპყრობა მის საკუთრების ხელის შემხებელს, თუნდა ამ ხელის შეხებით ბევრი არა დაჰკლებოდეს, მაგრამ ისეთ გამხეცებამდე და გაპირუტყვებამდე მისვლა, სადამდეც ინჟენერ-ტეხნოლოგი ვაგარშაკ ხოიცევი მისულა, რაღაც დაუჯერებელი, შეთხზული ამბავი გგონია.

ქურდობის ეჭვი მიიტანეს ოსმალეთიდან გადმოხვეწილ მუშა მელქუმოვზე. კარგი და პატიოსანი: აიღეთ და სამართალში მიეცით, თუმცა ესეც-კი უკიდურესი სასტიკობა იქნებოდა, რადგან ეჭვის გარეთ არავითარი საბუთი არ ჰქონიათ მუშა მელქუმოვის ქურდობისა.

არა, ეს არ აკმაყოფილებს „უმაღლეს განათლების“ პატრონ ვაგარშაკ ხოიცევს: მელქუმოვი მარილის ბნელ მაღაროში დაამწყვდევია—უფრო ადვილად გამოტყდებაო. რომ დამწყვდევამაც არ გასჭრა, მხეცურად, პირუტყვულად აწამეს უპატრონო და უმწეო მელქუმოვი—ხელები შეუკრეს, უწყალოდ სცემეს და რამდენსამე ადგილას დასჭრეს კიდეც. ვერ გაუძლო საბრალო მუშამ თავის ჯალათების სიმხეცეს და სიცოცხლე მოისწრაფა.

მელქუმოვი ოსმალეთში აპირობდა წასვლასო, უთქვამთ მოწმეებს. ვინ იცის, იქნება უპატრონოდ მიტოვებული ცოლშვილი მოუთმენლად ელოდა პატრონისა და მარჩენელის დაბრუნებას? ვინ უნდა იყოს პასუხის მგებელი მათ საბოლოო დაობლებისა? ჰკითხეთ ვაგარშაკ ხოიცევს და ის გეტყვით, რომ იგი უბრალოა ამ საქმეში. ხუმრობა ხომ არ არის! ჯან-ფოლადოვის დიდ სიმდიდრეს ერთი გროში დააკლდა და რა ვუყოთ მერე, რომ ამ დანაკარგს მსხვერპლად შეეწიროს ვიღაც მელქუმოვი, თუნდ სრულებით უდანაშაულო!

ვაგარშაკ ხოიცევი ინჟენერ-ტეხნოლოგია; მაშასადამე სტუდენტი ყოფილა და სტუდენტებ შორის უცხოვრია. განა შესაძლებელი არ არის, რომ სტუდენტი ვაგარშაკ ხოიცევი სხვა ამხანაგებთან ერთად ბევრს ლაპარაკობდა სტუდენტების წრეებში კაცთმოყვარეობაზე, დავრდომილის ქომაგობაზე და ხალხის სამსახურზე? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ეგრე იქნებოდა და ახლანდელი ვაგარშაკ ხოიცევი რომ დაგენახვებიათ მაშინდელისათვის, გულის წყრომითა და აღშფოთებით დაიწყებდა ლაპარაკს.

დღეს-კი იგივ ვაგარშაკ ხოიცევი ნამდვილ მხეცად ქცეულა და ერთ გროშისთვის თავის მოძმეს წამებას აყენებს და თავს აკვლევინებს.

განა კაცია ადამიანი!?

№

თეატრი

ქართული თეატრი. პირველმა ბენეფისმა ქართულ თეატრში 4 ნოემბერს ურიგოდ არ ჩაიარა. მობენეფისეს ბ-ნ გედევანოვს ხეირიანი პიესები აერჩია, „სევილიელი დალაქი“ და „დუელი“. არც წარმოდგენას უშავდა-რა, თუმცა ჩვენ არტისტებს შეეძლოთ ეს პიესები ბევრად უკედ წარმოედგინათ. ხელს უშლიდა როლის უცოდნელობა, ეს განუშორებელი სენი ჩვენის არტისტებისა. ყველაზე მეტად თვით ბ-ნი გედევანოვი მოეწონა საზოგადოებას ბართოლოს როლში. კარგი იყო როზანას აღმასრულებელი ქ-ნი ტ. აბაშიძეც. სავსებით ვერ დაგვაკმაყოფი-

---

შემოვა ტრაქტირში, და ჯერ თხოვნით და მერე მუქარით აიძულებს, ჯვარი დაიწეროს ანნაზე, ამასთანავე ჰპირდება მთელს სახლს მზითევად. აქვე გადაჭრილს სიტყვას ეუბნება ბაუსბარტს: შენი და დედა ჩემის საქმე სამუდამოდ გათავებულია და ფიქრადაც ამ გაიტარო თავში მისი ცოლად შერთვაო.

ტრაქტირში მუშები შეიკრიბებიან და ლუკა სათემო ქარხანაზე ჩამოუგდებს ლაპარაკს მათ: შევიძინოთ საერთოდ მიწა, ავაშენოთ თვითონ ჩვენვე სახლი, მოვაწყოთ შიგ ფეჩი და გავაკეთოთ ლამპის შუშები; ჩვენვე ვიქმნებით ჩვენის თავის ბატონები, ვიმუშავებთ თავისუფლად, არავინ ძალას არ დაგვატანს და მთელი მოგება ჩვენსავე ხელში დარჩებაო. მუშებს ჯერ ძალიან მოსწონთ ლუკას პროექტი: ერთი ამბობს, მე ამის ხელობა ვიცი, მეორე—მე ამას გავაკეთებო. მაგრამ მალე ეჭვი შეეპარებათ: ზარმაცები ტყუილად წაიღებენ მოგებას, შეშა ბევრი მოგვინდება, მექარხნე საქმეს წაგვიხდენსო. ბოლოს საქმე იქამდის მიდის, რომ ლუკას საცინლად აიგდებენ და ერთი იმასაც ეკითხება: თავში ტვინი გაქვს, თუ არაო?

ლუკას მაინც ღრმად სჯერა, რომ, ადრე თუ გვიან, ამ საქმეს მოაწყობს, ჩააგონებს მუშებს მის სიკეთეს. მისი რწმენა მაშინ შეირყევა მხოლოდ, როდესაც თავის ძმას შეეტაკება. ლუკამ გაიგო, რომ ანტონმა ტერეზა წაართვა, მაგრამ ამ გარემოებას მამაცურად შეეგება. სხვის საქმე უფრო აწუხებს, ვიდრე საკუთარი. ივიწყებს პირად შეურაცხყოფას და ეხვეწება ძმას, დავუთმოთ ჩვენი წილი სახლი ანნას და ამით ვიხსნათ ოჯახი სირცხვილისაგანო. ანტონი არ თანხმდება, ძმებს ჩხუბი მოუვათ, რომლის დროს ანტონი მიაძახებს ძმას: მიტომ მეჩხუბები, რომ ქალი წაგართვიო.

ლუკას გულს უკლავს ასეთი სიტყვები: ხალხი მართლაც არ დამიჯერებს, რომ კეთილშობილურის გრძნობებით ვხელმძღვანელობო...

ტერეზაც ბეცსავით ურჩევს ლუკას, თავი დაგვანებე, შენ სხვა საზომით მოდი ჩვენთან. მეც ისე ვიქცეოდი აქ, როგორც სხვა ყოველი აქაური ქალი და შენ სიღაცას მთხოვ. ჩვენ მაინც არა ვართ ერთმანეთისათვის შექმნილნი. უფრო მე გაგრყვნიდი, ვიდრე გამასწორებდი შენო. ლუკა ერთს რასმე თხოვს ტერეზას: დროებით მოშორდი ანტონს, რომ ვალები გაისტუმროს და სახლი დაუთმოს დასო.

ტერეზა მიდის და მარტოდ დარჩენილს, მწარედ დაღონებულს ლუკას სიყვარულით ეუბნება ლუიზა, სახლში წამოდიო. ამას უყურებს მაცი და წინანდელს უმეორებს ლუკას: ქვეყნის გამსწორებელო, ხედავ! ადამიანების გასწორება ადვილი არ არის. ბევრი ცდილა შენამდისაც, მაგრამ დამარცხებულანო.—მაშ რა ვქნათ, მოხუცო! ეკითხება ლუკა: დავიხრჩოთ, დავიღუპოთ ამ ტბაში?—რადა! უპასუხებს მაცი: ყველამ თავისთვის იზრუნოს და გადაირჩინოს თავისთვის ის, რის გადარჩენაც შეუძლია!

მესამე მოქმედებაში ტერეზას დედა ჩხუბს აუტეხს ანტონს, რომ ბოლო დროს ცოტა ფული მოგაქვს ჩვენთვისო. ტერეზაც ძლიერ გულცივად მიიღებს ანტონს: მომშორდი, თავი მომაბეზრე, სამუდამოთ გავწყვიტოთ კავშირიო. ანტონი ყველაფერს ამას ლუკას აბრალებს და მუქარით განშორდება ტერეზას. შემოდის უკანასკნელის მამა, მთვრალი შოპფი, თან შემოჰყავს ბაუსბარტი, რომელსაც უნდა მიათხოვოს თავისი ქალი. „კმარა, მეყოფაო! ეუბნება მამას ტერეზა: კმარა, რომ ამდენხანს ვაჭრობდით ჩემის სხეულით. შემძაგდით ყველანი, სიცოცხლე გამიმწარეთო“! მამა სახლიდან გაგდებას ემუქრება, მაგრამ ტერეზა თავის ნებით ატირებული გავარდება გარედ.

ღამეა... უკანასკნელი სცენაა შტერების სახლში. ლუკა და ლუიზა ერთმანეთს გამოეთხოვებიან და მიდიან დასაძინებლად; ლუკა ძალიან დაღონებულია: ჩემის მოსვლით ყველას უბედურება მოვუტანეო. ოთახი რომ დაცალიერდება, შემოიპარება მთვრალი ანტონი და უნდა დედის ფული მოიპაროს. მას შემოუსწრებს ლუკა და შეაჩერებს. ძმები ერთმანეთს შეებრძოლებიან. ანტონი მივარდება ძმას: შენ დამღუპე მეო.—თუ ტერეზაზე ლაპარაკობ, უპასუხებს ლუკა: გულახდილად გეტყვი, რომ არავითარი საერთო არა მაქვს მასთან და არც მინდა მქონდეს. შოპფებმა დაგღუპეს შენ, გაგრყვნეს, ისინი არიან შენი უბედურების მიზეზი. მაგრამ თუ არ გჯერა, რომ პატიოსნად მოგეპყარი, მოდი და დამკარი!

გამოფხიზლებული ანტონი თავს ჩაღუნავს და სახეზე ხელებს მიიფარებს. ამ დროს გარედან ხმაურობა ისმის. შემოაქვთ ტერეზას გვამი, რომელსაც თავი დაუხრჩვია ტბაში. ექიმი შეამოწმებს, აღარ მორჩებაო და გვამი ისევ გააქვთ უკან. ამ საშინელის სცენის შემდეგ ლუკა ხელს გაუწოდებს თავის ძმას ამ სიტყვებით: „ანტონ, ახლა ყველაფერი გამოსყიდულია. მაპატიე! მაპატიეთ თქვენც, დედავ! მე ადამიანებს მხოლოდ უბედურება მოვუტანე, მაგრამ დაუყოვნებლივ წავალ აქედანო“!—ანნა მოეხვევა ძმას: „ლუკა, ჩემთვის შენ არ მოგიტანია უბედურება! შენის მიზეზითაა, რომ ფრანცი ჩემთან არის“.—ანტონი: „ცოტა ჩემის მიზეზითაც. მე დამითმია ჩემი წილი ქონება, მთელი სახლი შენ გეკუთვნის“. ძმები მხურვალედ მოეხვევიან ერთმანეთს. ბევრს ეხვეწება დედა, მაგრამ ლუკას ერთს წუთას არ უნდა დარჩეს სახლში. წასვლისას შეაჩერებს ლუიზა და ხვეწნით ეუბნება: „ლუკა.... ლუკა... თან წამიყვანე!“ აღელვებული ლუკა მოუბრუნდება და ჰკითხავს: „შენ გინდა!... გინდა... იყო ჩემი პატიოსანი ცოლი“?—„სამუდამოდ“! უპასუხებს ლუიზა და მიეკვრება გულზე.

ლუკა მიდის ასე მალე იმ სოფლიდან, რომლის ცხოვრების შეცვლას ასე მოწადინებული იყო. ცხოვრების სრული რეორგანიზაცია მას არ შეეძლო, რადგან არ შეეძლო მოსპობა იმ პირობებისა, რომლებიც წარმოსდგებოდნენ სიღარიბისა და სილატაკისაგან, ქონებრივ უთანასწორობისა, საკუთრებისაგან და რომელნიც ჰქმნიან დღევანდელს უვარგისს ცხოვრებას. მაგრამ მის ხელთ იყო ცოტათი მაინც გაუკეთესება ცხოვრებისა დღევანდელს პირობებში, მას შეეძლო ბრძოლა ძირითად ცვლილების მისაახლოვებლად. ლუკა გაექცა ამ ბრძოლას. იგი რომ გმირი ყოფილიყო, უკან არ დაიხევდა, უკანასკნელ წამამდის იბრძოლებდა, თავს შეაკლავდა დაბრკოლებას. ლუკა დასძლია ეგოისტურმა გრძნობამ, მისწრაფებამ პირადის კეთილ-დღეობისადმი. ვერ შესძლო სიკვდილი თავის რწმენისათვის.

პიესის ბოლო არ არის ტრაგიკული, არც გმირული. მაინც ლუკას სოფელში დაბრუნებამ სულ უნაყოფოდ არ ჩაიარა: ცოტათი მაინც შეიძრა სოფლის ტბა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ვ. აბაშიძემ ფიგაროს როლში. იმის თამაშობას მეტი გულ უბრყვილობა და ნაკლები ეშმაკობა და ოინბაზობა ეტყობოდა. ვოდევილმა, ბ-ნ გედევანოვის წყალობით, მხიარულად ჩაიარა.

მობენეფისეს ტაშის კვრით მიეგებნენ და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

—

უკვე ვწერდით, რომ ოდესაში ქართველ მუშებისათვის შეუდგნენ სახალხო წარმოდგენების მართვასაო. ოდესის ნავთსადგურში არსებობს სახალხო აუდიტორია. აი, ამ აუდიტორიაში დაიწყეს წარმოდგენების მართვა სცენის-მოყვარე სტუდენტებმა და სხვებმა. დრამატ. საზოგ. გამგეობის თავჯდომარემ ბ-ნმა ნიკოლოოზ ქართველიშვილმა მიიღო დეპეშა, რომლითაც საქმის მოთავენი ქართულ სახალხო წარმოდგენების დაწყების გამო, ოდესაში ულოცავენ დრამატიულ საზოგადოებასა და არტისტებს. იმავე დღეს ბ-ნმა ქართველიშვილმა საპასუხო დეპეშა გაჰგზავნა ოდესაში.

დიდად სასიხარულო და სასიამოვნო ამბავია ოდესაში სახალხო წარმოდგენების მართვა ქართველ მუშებისათვის, რომელნიც, რამდენადაც ვიცით, მოკლებულნი არიან ყოველსავე გონიერ გასართობს. მადლობა ეთქმით საქმის დამწყებთა და მოთავეთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა თავის დახმარებას არ მოაკლებს ამ ნორჩსა და სასარგებლო საქმეს.

—

ეხლა-ხან პეტერბურგის საიმპერატორო თეატრმა და არტისტებმა იდღესასწაულეს 50 წლის იუბილეი მხცოვან არტისტის მედვედევის სასცენო მოღვაწეობისა. ეს არტისტი 50 წელიწადი განუშორებლად და განუწყვეტლად ემსახურებოდა რუსულ თეატრს და დღესაც ემსახურება. იუბილეის დროს არტისტს უმაღლესად ებოძა სახელი „დამსახურებულ არტისტისა“.

—

ოქტავ მირბო, რომლის ახალ პიესის „ფულის ძალა“-ს შინაარსი ამას წინად გავაცანით მკითხველებს, შესდგომია ისტორიულ პიესის წერას. დრამის შინაარსი მირბოს დიდ რევოლიუციის დროდან აქვს თურმე აღებული. მირბოს განუზრახავს, სცენაზე გამოიყვანოს ყველა, ცოტად თუ ბევრად თვალ-საჩინო მოღვაწე რევოლიუციისა და სიმართლით აღნიშნოს ისტორიული მოვლენანი.

—

პეტერბურგში მცხოვრებ მალოროსებს აზრადა აქვთ იდღესასწაულონ 35 წელი მალოროსთა კომპოზიტორის ნ. ვ. ლისენკოს მოღვაწეობისა. ნ. ვ. ლისენკო კანდიდატია კიევის უნივერსიტეტისა და არტისტი ლეიპციგის კონსერვატორიისა. 35 წელიწადია ლისენკო სწავლობს მალოროსთა სახალხო სიმღერებს, ჰკრებავს და ცალკე კრებულებად ჰბეჭდავს. დღემდე ლისენკოს გამოუცია 16 კრებული. ამას გარდა ლისენკოს მრავალი საკუთარი თხზულებაცა აქვს: ხუთი მალოროსიული ოპერა, ოპერეტები, რომანსები, საფორტოპიანო რაპსოდიები, სუიტები, პოლონეზები, კომპოზიციები სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, ფლეიტისა და სხვა საკრავებისთვის. პირველი ნაწარმოები ამ ნაყოფიერ კომპოზიტორისა დაიბეჭდა 1868 წელს.

სასამართლო

I

მშვიდობიანობის დარღვევა

ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ ახალქალაქში 25 ოქტომბერს განიხილა საქმე ახალ-ქალაქის ხაზინის მოხელეთა ზედგინიძისა, გალჩენკოსა, ღარიბაშვილისა და ხეჩოევისა, რომელთაც საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევა ჰბრალდებოდათ.

1902 წელს, 27 აგვისტოს, ახალქალაქის ხაზინაში შესულა ხაზინადარის მიერ დათხოვნილი მოხელე ტრედიაკოვი და უთხოვნია, ისევ მიმიღეთ სამსახურშიო. როდესაც ხაზინადარმა უარი უთხრა, ტრედიაკოვმა ყვირილი დაიწყო და შეურაცხება მიაყენა ხაზინადარს. ხაზინადარს უბრძანებია იქ მყოფთათვის, ტრედიაკოვი გაეყვანათ. მაშინ მისცვივდნენ თურმე მოხელენი ზედგინიძე, ღარიბაშვილი, ხეჩოევი და გალჩენკო, მოავლეს ხელი ტრედიაკოვს და უნდოდათ ხაზინიდან გაეყვანათ. ტრედიაკოვმა კიდევ ყვირილი მორთო, ამასთან ჯიბეში ხელი ჩაიყო და დაიძახა, „ახლოს არ მომეკაროთო“. ზედგინიძეს ჰგონებია, ტრედიაკოვი იარაღის ამოღებას აპირებსო, ამიტომ მიჰვარდნია და ხელები დაუჭერია. ამ მდგომარეობაში მოასწრო იმათ პოლიციის მოხელემ, რომელმაც ყოველივე ბოქაულს შეატყობინა. ბოქაულს შეუდგენია ოქმი და ზემოდ დასახელებულნი საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის პასუხის გებაში მიუცია. ეს საქმე განიხილა შარშან, 10 სექტემბერს, მომრიგებელმა მოსამართლემ, რომელმაც დამნაშავედ იცნო დასახელებული პირნი და გადაუწყვიტა დაჯარიმება ზედგინიძესა და ღარიბაშვილს—15 მანეთით, ხეჩოევსა და ტრედიაკოვს—ხუთ-ხუთი მანეთით, ხოლო გალჩენკოს—10 მანეთით. საქმე ოლქის სასამართლოში გადაიტანეს. ოლქის სასამართლოს სესსიამ გააუქმა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი და არც ერთი ზემოდ დასახელებული მოხელე დამნაშავედ არ იცნო.

II

11 ნოემბრისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ბათუმში არსებულ მანთაშევის ქარხნის მუშების სტეფანე ამბარცუმოვისა, სამსონ გაგუასა, თეოფილე ღოღობერიძისა, მიხეილ ხირიმიანცისა, გიორგი კალანდაძისა, გერასიმე თოდუასა, პერტისასა და თეოფილე თებზაძისა. ამათ ჰბრალდებათ 1902 წელს უწესოების მოსახდენად მუშების მეთაურობა და მოხელეთათვის სამსახურის დროს წინააღმდეგობის გაწევა.

III

დღეს, 6 ნოემბრისთვის, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ბათუმის დამოჟენის მოხელის ვლადიმერ აბაშიძისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდება; ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ მაკრინე და სილიბისტრო ვაშაკიძეებისა, რომელთაც პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებათ, სტეფანე კოხრეიძისა, რომელსაც სახელმწიფო ფულის გაფლანგვა ჰბრალდება, და სხვათა.

IV

დღეს, 6 ოქტომბერს, ტფილისიდან გორს მიდის ოლქის სასამართლოს სესია სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად.

დაბა-სოფლები

—

ს. ფარცხმა (გურია). 28 ოქტომბერს, ღამით ცეცხლი გაუჩნდა ლაზარე ჩხიკვაძის სახლს. თუმცა მეზობლებმა მალე შეამჩნიეს ცეცხლი, მაგრამ ვერას გახდნენ. სახლის გარდა დაიწვა 15 გოდორი ღომი, 10 გოდორი სიმინდი, ინდოურები, ქათმები და საოჯახო მოწყობილება. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ვერ გაიგეს.

2 ნოემბრიდან ჩვენსკენაც შეუდგნენ კენჭის ამოღებას. მცხოვრებთ უხარიანთ, რომ წელს კენჭის ყრა ჩახატაურშია. ფარცხმის საზოგადოებამ წელს იქირავა სახლი საკრებულოსთვის. შემდეგისთვის ჰფიქრობენ ააგონ ახალი შენობა. უმრავლესობა მოწადინებულია, რომ საკრებულო ჩახატაურში იყვეს და მხოლოდ უმცირესობას უნდა ხელ-ახლა ოზურგეთში გადატანა. წელს დაარსდა ჩახატაურში ქალთა სასწავლებელი. სწავლის ფული ჯერ-ჯერობით მანეთ ნახევარია თვეში.

მ—შვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ნოემბერი

პეტერბურგი. 3 ნოემბერს ხელმწიფე-მემკვიდრე და დიდის მთავრის მეუღლე ოლგა ალექსანდრეს ასული მეუღლითურთ გატჩინოს დაბრუნდნენ.—„კანონთა კრებულ“-ში დაბეჭდილია წესები: 1. როგორ უნდა დაიცვან რკინის გზებსა და წყლებზე მიმავალი ხალხი ხოლერისა და შავი ჭირისაგან; 2. რა ღონისძიებანი იხმარონ ხოლერასა და შავჭირთან საბრძოლველად აღმასრულებელმა სასანიტარო კომისიებმა.—სადამოს, 4 ნოემბერს, სკერნევიციდან ცარსკოე სელოს მოვიდნენ მათ უდიდებულესობათა შვილები.

ლოძი. დაიწვა გინსბურგის საქარხნო შენობები და გრინერისა და ბევრ სხვა მოიჯარადრის მანქანები. ქონება და მანქანები დაზღვეული იყო. ზარალი 100 ათას მანეთამდეა.

ვარშავა. გარდაცვალებულის ჰესენის პრინცესა ელისაბედისათვის უკანასკნელ პატივის მისაცემად სკერნევიცს ჰესენის ჰერცოგის ერნესტის, კლიასტიცის პოლკის ესკადრონი მოიწვიეს.

სეული. კორეელებსა და იაპონელებ შორის მომხდარ შეტაკებისა გამო, იაპონიის ელჩი თხოულობს, პოლიციისა და ჟანდარმერიის უფროსებს შენიშვნა გამოუცხადონ და საელჩოს წინაშე ბოდიში მოახდევინონ. ელჩი თხოულობს, შეტაკებაში მონაწილეობის მიმღებნი სასტიკად დაისაჯონ და ამ საქმეში გარეულ ჯარის-კაცთა უფროსებს სასტიკი შენიშვნა გამოეცხადოს. იაპონიის ელჩი იმუქრება, თუ კიდევ განმეორდა ასეთი ამბავი, კორეიის პოლიციის დასახმარებლად იაპონელებს მოვიწვევო. დაჭრილ იაპონელებისათვის საქიმო ხარჯები უნდა იკისროს კორეიის მთავრობამ, რომელმაც აგრეთვე უნდა უზღოს იაპონიის ქვეშევდომთ ამ გვარი შემთხვევებით მიყენებული ზარალი.

ლოხვიცა. საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, მოისპოს საარჩევნო წოდებრივი განსხვავება და შემცირდეს ცენზი 50 დესეტინამდე, მიეცეს ქალებს საარჩევნო და ხმოსნად არჩევის უფლება.

პორტსმუტი. მოვიდა იახტა „ვიქტორია ალბერტი“ იტალიის მეფე-დედოფლით.

ნიუ-იორკი. პანამიდან მოვიდა გემი კომისიით, რომელსაც დავალებული აქვს მოლაპარაკების გამართვა და ხელ-შეკრულობის დადება პანამის არხის გაყვანის თაობაზე.

პოტსდამი. რადგან გერმანიის იმპერატორს ჭრილობა ურჩება, ბიულეტენი აღარ გამოიცემა.

ვაშინგტონი. კრეისერი „ალბანი“ იოკოჰამიდან ჩემულპოსკენ გავიდა.

კარაჩი. დღეს ლორდი კერზონი ოთხის სამხედრო გემის თანხლებით სპარსეთის სრუტეში მოემგზავრება.

კობურგი. ჰესენის პრინცესა ელისაბედის დამარხვა ოთხშაბათს მოხდება დარმშტადტში.

ველინგტონი. (ახალი ზელანდია). მინისტრ-პრეზიდენტმა წარადგინა კანონ-პროექტი, რომლის ძალით ინგლისის ვაჭრობას უპირატესობა ეძლევა. ამასთანავე აზრად აქვთ, არსებული ბაჟები 1904 წლის მარტიდან ასწიონ 20-და 50%-მდე სხვა-და-სხვა საქონელზე გარდა ინგლისის ნაწარმოებისა. წარდგენილია კანონ-პროექტი უცხოელ სახელმწიფოებთან ურთიერთ სავაჭრო ხელშეკრულობის დადების შესახებ.

5 ნოემბერი

პეტერბურგი. მისის უმაღლესობის ჰესენის პრინცესა ელისაბედის გვამი გასჭრეს 3 ნოემბერს და აღმოჩნდა, რომ უავგუსტოესი ავადმყოფი გარდაცვლილა სახადით, დაახლოებით ერთის კვირის შემდეგ, რაც მას ავადმყოფობა გასჩენია.—შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო, გამოსცენ გაზეთი „ურალი“.—როგორც გამოირკვა, ფულიანი კორესპონდენცია—7.734,317 მანეთისა, რომელიც იმყოფებოდა მატარებლის № 3 საფოსტო ვაგონში, თითქმის სულ გადარჩა—დამწვარა მხოლოდ 826 მ. და 18 კ. კორესპონდენცია; სხვა სულ გადაურჩენიათ და ეხლა დანიშნულებისამებრ არის გაგზავნილი; რაც შეეხება ამანათებსა და დაკვეთილ წერილებს, ჯერ არ გამორკვეულა, რა დაიწვა და რა გადარჩა.

ვინძორი. იტალიის მეფე-დედოფალს შეეგებნენ მეფე და დედოფალი.

პარიზი. გარეშე ვაჭრობის ჯგუფის თავმჯდომარემ დელონკლმა მიმართა დელკასეს წერილით, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ რუსეთმა საფრანგეთის ღვინოს იმაზე მეტი ბაჟი არ დაადოს, რაც სხვა ქვეყნების ღვინოს ადევს, და ეს ბაჟი გეკტოლიტრზე 10 მანეთს არ აღემატებოდეს.

პორტ-არტური. 31 ნოემბერს იაპონიის სავაჭრო გემი პორტ-არტურის სადგურიდან გამოსვლის დროს დაეტაკა კრეისერს „ასკოლდს“. კრეისერი ჩასძირა. გემზე მყოფნი ოფიცერი და მოსამსახურენი გადარჩნენ გარდა ორის მეზღვაურისა. იაპონიის გემს უნდოდა ზღვაში გასულიყო, მაგრამ ისევ დააბრუნეს ნავთსადგურში.

სოფია. ცნობა, ვითომ ბოლგარიასა და სერბიას შორის უნიის მომხრე ბოლგარიის ოფიცრებს შეთქმულება მოეწყოთ, ტყუილია. ცნობა ორმოცი ოფიცრის დატყვევების შესახებ გამოგონილია. ოფიცრები არ გაუხნრეკიათ. აგრეთვე ტყუილია ის ცნობა, ვითომ ოფიცრებს შეთქმულობა იმ აზრით გაემართათ, რომ ომი გამოეწვიათ ბოლგარიასა და ოსმალეთს შორის. „ტან“-ისა და სხვა გაზეთის მიერ დაბეჭდილი ცნობა, ვითომ პეტროვის კაბინეტის მინისტრები სხვა-და-სხვა შეხედულებისანი იყვნენ, ტყუილია. ყველა ეს სენსაციონური ცნობები გავრცელებულია მათ მიერ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ბოლგარიას საზღვარ-გარედ სახელი გაუტეხონ.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½
ლონდონისაზე ჩეკები	94,75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	456 გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	346 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	294½ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად[illegible]	[illegible]
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	241½ „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

—

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იწვევთ იმათ, ვისაც, ვისაც სურს **გალობის მასწავლებლობა** მამა დავითისა, ვერისა I, ვერისა III და ჩუღურეთის ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებში. თხოვნების მიღება გასტანს 20 ნოემბრამდე. თხოვნასთან უნდა ახლდეს შესაფერი მოწმობა მასწავლებლობისა. (3—5.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 Ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).